აქ მოდი თეთრო ქათამო

აქ მოდი თეთრო ქათამო,

საჭმელი უნდა გაჭამო.

შეჭამე, რაც აქ პურია,

თორემ შეგიჭამს მურია!

ელიზბარ გაბუნია

მსუნაგობა

- შოკოლადს კიდევ ავიღებ!

- გაწყენს მაგდენი, დიტო!

- ახლა არ შევჭამ, დილისთვის

მე შევინახავ თვითონ,

ბალიშის ქვეშ რომ ამოვდო,

რა დაშავდება ვითომ?!

- აგრე ჰქენ, ხომ არ გგონია,

მენანებოდეს თითქოს...

როდესაც საწოლ ოთახში

დახედა პაპა თედომ,

ბიჭს ეძინა და ბალიში

სავსე მუცელზე ედო.

შოთა ამირანაშვილი

მაწონი-მაწონი

ეზო-ეზო, სართულ-სართულ, დილა-დილა,

უბან-უბან, ქუჩა-ქუჩა, ქილა-ქილა,

კორპუს-კორპუს, კიბე-კიბე, აივნით

უთენია ის მთელ თბილისს დაივლის.

ისმის შემახილები მხიარული,

წყნეთური, დიღმური, თიანური.

კრიმანჭული, ოდელია, რანუნი,

მანგლისური, კოჯრული და გლდანური.

დილაა თუ ბინდია,

ეზო-შარა-ხიდიან

ყველგან მაწონს ჰყიდიან.

_ მაწონი, მაწონიიიიიიიი,

არ სჭირდება ამწონიიიიიიი!

_ მიირთვით დიდებმა და პატარებმა,

არ გაგვიტყდეს, ძნელი არის სატარებლად.

_კიბე-კიბე, ლიფთიტა და ულიფთოდ,

შეგიძლიათ შეიძინოთ ურიგოდ!

_ აბა, ჩქარა, დაგვიცალეთ ჩანთები,

თუ კი გინდათ იყოთ მხნე და ჯანმრთელი!

ჩანთაც ყვირის: `ძალიან ნუ გამტენით,

ვინ შეყლაპოს, ვინ შესანსლოს ამდენი?~

შაქრითა და უშაქროთ,

პურითა და უპუროდ

უნდა მიირთვათ,

განა უყუროთ?!

ერთი დილა, ორი დილა, სამი დილა,

ერთი ქილა, ორი ქილა, სქამი ქილა,

ერთი კვირა, ორი კვირა, სამი კვირა,

ზიდა კაცმა, ქალმა, ბავშვმა, ჯორმა, ვირმა.

_ უცებ გაგხდით ჯანიანს და ღონიერს,

ტანადს, ლამაზს, გაბედულს და გონიერს!

ერთნაირად რგებს

დებსა და ძმებს.

ჭორფლიანს და ცაციებს,

მდიდარსა და ღარიბს,

მაცივარიც აციებს,

თუკი დენი არის!

ეზო-ეზო, სართულ-სართულ, დილა-დილა

ვერ დაითვლი, იმდენია მაწვნის ქილა.

სახელმწიფო ჯერ არ ითხოვს მასზე ქირას,

სულ იჭმევა, არ ისვენებს შაბათ-კვირას.

მარიამ წიკლაური

სათევზაოდ

- დღეს რა კარგი ამინდია! -

უხარია რამაზს,

სათევზაოდ მეც გავყვები

ჩემს საყვარელ მამას.

დედას ასე დაუბარა:

- ნუ მოხარშავ სადილს,

იმდენ კალმახს ჩამოგიტანთ,

რომ ეყოფა ნადიმს!

დარცხვენილი შინ დაბრუნდნენ

რამაზი და მამაც -

რა ქნან, თუკი ვერ მიაგნეს

იმ გემრიელ კალმახს...

მარიჯანი

ფაფა

მე ვარ ბებოს სიხარული,

გავათავე რაკი ფაფა,

მითხრა – ყოჩაღ, ამ ახალ წელს

გესტუმრება თოვლის პაპა.

ჰოდა, მინდა გავაფრთხილო,

შვრიის ფაფას ნუ მომიტანს,

ბებოს ხათრით ვჭამე, თორემ

ფაფა განა მართლა მიყვარს

კობა ჭუმბურიძე

ნიორი და ხახვი

ნიორმა უთხრა ხახვსაო

– ეს რა სიმყრალე გვჭირსაო,

ვარდებს მალიმალ ყნოსავენ,

ჩვენ გვარიდებენ პირსაო.

ხახვმა მიუგო – დამშვიდდი,

ნუ იტყვი ჩვენზე ძვირსაო,

ვარდი ვის ახსოვს, როდესაც

ავადმყოფობა სჭირსაო.

კობა ჭუმბურიძე

შავი თუთა

– ნუცა, ჩვენთან გადმოდი,

თუთას დაკრეფს ვასიკო,

უკვე შემოგვეჭამა

დაბლა ტოტზე რაც იყო.

– მიყვარს, რომ მპატიჟებენ,

მეგობრებიც კარგი მყავს,

მაგრამ, გამოგიტყდები,

შავი თუთა არ მიყვარს.

– თუთა რატომ არ გიყვარს

ნეტავი რას აშავებს?

– რას აშავებს? თითებს და

კაბასაც კი აშავებს.

და, ვინც ხშირად მიირთმევს,

იმას სულ გააშავებს,

თუ არ გჯერა, გახედე,

შაშვებს ხედავ, შავ-შავებს?

ჰოდა, თუთანაჭამი,

შავ-პირ-ლოყებ-ხელება,

დედიკომ რომ ვერ მიცნოს,

მერე რა მეშველება?

– ნუცა, ნუ გეშინია,

კარგად თუ დაფიქრდები,

სულ ტყუილად რომ შიშობ,

ამას თავად მიხვდები.

შაშვები თუ შავები

თუთის ჭამით ხდებიან,

ჟოლოს როცა კენკავენ,

რატომ არ წითლდებიან?

კობა ჭუმბურიძე

ნაყინი

ისე ცხელა, ბაყაყსაც

ეზარება ყიყინი,

მხოლოდ ერთი ხმა ისმის

– ნაყინიი! ნაყინიი!

მოაგორებს ურიკას,

ჩვენი სოფლის შარაზე,

ნაყინის გამყიდველი

ბაბუ ბონდო შარაძე.

– ბონდო, ნეტა იცოდე,

რა სულზე მოგვისწარი,

ერთი აქეთ მოდექი,

შემოაღე ჭიშკარი.

დაგვირიგე სასწრაფოდ

შვიდი ცალი ესკიმო,

აკრძალული ხომ არ გვაქვს

თამუნია ექიმო?

ამ დროს ისმის ბაგადან

ვირუკელას ყროყინი

– მეც კი მინდა ნაყინი!

ნაა-ყიი! ნაა-ყიი! ნა-ყიი-ნი!

კობა ჭუმბურიძე

***

– ლილე, გიყვარს ტკბილეული?

ეკითხება ლილეს ლელა.

– შოკოლადის ფილა მიყვარს,

გოზინაყი და ჩურჩხელა,

ტორტიც მიყვარს და ნამცხვარიც

ერთად მინდა მქონდეს ყველა…

– ცოტა სხვასაც დაუტოვე,

ნუ ხარ ასე ღორმუცელა!

კობა ჭუმბურიძე

სუფი

ერთი ჩამჩაც საქმე არის,

მაგრამ ერთს სჯობს ორი!

ვინც ჭკვიანი არის სხვაზე,

ის სამსაც ჭამს, მგონი.

ზოგს პატარა თეფშიც ჰყოფნის,

ზოგს არ ჰყოფნის დიდიც.

მათლაფიდან ჩვენ პირამდე

გავდოთ კოვზის ხიდი.

სუფი უყვართ თურმე პირებს,

სუფი უყვართ მუცლებს.

უყვარს ხელ-ფეხს, უსუფობას

თურმე ვერვინ უძლებს.

უყვართ ცხვირებს, ყურებს, თვალებს,

ყველას უყვარს სუფი,

რადგან გაზრდის წამალია,

მას არავინ უფრთხის.

ის ნამდვილი სარდალია

სადილის და სუფრის.

უხმაუროდ ამოვხაპოთ,

კოვზით ეს ზღვა სუფის.

მარიამ წიკლაური

მშიშარა ბოსტნეული

კარტოფილი, სტაფილო,

კომბოსტო და ლობიო,

ჭარხალი და ბროკოლი,

ყველას მჯობნის მჯობნიო.

პომიდორო, წიწაკა,

გოგრა, კიტრი, ხახვიო.

ყველა მე მემალება,

გადავქექე სახლიო.

ზოგი კარადაში ზის,

ზოგიც _ მაცივარშია.

ზოგი ბნელ ტომარაში,

ზოგიც ბოსტნის კვალშია.

ეშინიათ, იციან,

ყველას შევახრამუნებ.

ბაჭიებსაც ვაჯობებ,

გოჭებს, ჩიტებს, თაგუნებს.

მალე რომ გავიზარდო

ღონიერი, ჭკვიანი,

ვიტამინი არ მაკლდეს,

და არ მერქვას “ჭიანი”.

უნდა ვჭამო ბოსტნეულის

წვნიანიც და სალათიც,

ხილიცა და ბაღჩეულიც

დღეში ათი კალათი.

ხრამ-ხრუმ-ხრამ-ხრუმ!

იფ-იფ-იფ!

ეშინია სტაფილოს,

ეშინია ბოლოკს,

გაიძახის საწყალი: “მე შემჭამე ბოლოს”.

მარიამ წიკლაური